# ხელშეკრულება №08/01/18
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

28 იანვარი 2016 წელი.

ერთის მხრივ **ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"** (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის ლაშა სამხარაძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ორიენტ ლოჯიკი"-ს** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელ. ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების" შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, შევთანხმდით და დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1. ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, უწყვეტი ელ. ენერგიის კვების წყარო სახლემწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
1.2 საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება დანართი №1-ით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
1.3. კლასიფიკაციის კოდი – 31154000;

### *2. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი*

2.1. მთლიანად საქონლის ღირებულება შეადგენს **1200.00** (ერთი ათას ორასი), ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობოთ გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

### *3. საქონლის მიწოდების პირობები*

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულეების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

### *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და მიღება-ჩაბარების წესი*

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტია, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვლენს.
4.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენენ ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-ს ლოჯისტიკის მენეჯერი სერგი სამხარაძე;
4.3 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება 2 (ორი) წლიანი გარანტია;

### *5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა*

5.1 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი იქნება
5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
5.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:**
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის და მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

**6.2 შემსყიდველი ვალდებულია:**
– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

**6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:**

– მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

**6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:**

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

## *7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება;

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით, ხოლო თიკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობაა, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

7.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებისაგან.

## *8. სადაო საკითხების გადაწყვეტა*

8.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან;

9.2. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის 5 მარტის ჩათვლით გარდა ხელშ კრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული შეთხვევისა.

**ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.**

**მხარეთა რეკვიზიტები**

| *"შემსყიდველი"* | *"მიმწოდებელი"* |
|---|---|
| **ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორაოტორია"** | **შპს „ორიენტ ლოჯიკი"** |
| მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №140ა/პასტერის ქ. №7 | მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის 8 |
| ს/კ: 402008046 | ს/კ: 202052054 |
| | ბანკი: ს.ს ..საქართველოს ბანკი" |
| | კოდი: BAGAGE22 |
| სახელმწიფო ხაზინა – ხაზინის ერთიანი ანგარიში | ანგ:# GE77BG0000000341026301 |
| კოდი:TRESGE22 | |

ლაშა სამხარაძე _____ უფლებამოსილი პირი _____

დანართი №1

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთ. ფასი | საერთო ფასი | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | APC Smart –UPS C 1000VA 600W/16.3 min-300W/170V-300V/ LCD Display/ Battery Runtime Protected sockets 8* IEC 320 C13, Ports: USB | 1ც | 1200.00 | 1200.00 | **31100000** |
| | სულ ჯამი დღ -ს ჩათვლით | | | 1200.00 | |

„ შემსყიდველი"

---

„მიმწოდებელი"

---

# ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 28.01 2016წ.

ჩვენ ქვევით ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-სათვის ელ. ენერგიის უწყვეტი კვების წყაროს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ქვემოაღნიშნულ მიმწოდებელთან შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

**მიმწოდებელი:** .....

ORIENT LOGIC Ltd
GEORGIA, TBILISI
RN 202052054

**ლაშა სამხარაძე** .....

**მამუკა კოპალეიშვილი** .....

**თეა ბორაშვილი** .....

**მიხეილ გიგაური** .....

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 29.01 2016წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია", მისი ლოჯისტიკის მენეჯერის სერგი სამხარაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორიენტ ლოჯიკი" მისი წარმომადგენლის სახით, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 28 იანვარს ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-სა და შპს „ორიენტ ლოჯიკი"-ს შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ელ. ენერგიეს უწყვეტი კვების წყარო" საქონლის მიწოდება განხორციელდა დროულად და ხარისხიანად.

საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 1200.00 (ერთი ათას ორასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

*„შემსყიდველი"* *„ მიმწოდებელი"*

სერგი სამხარაძე უფლებამოსილი პირი

---